საქმე №3ბ/892-07

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

30 ოქტომბერი, 2008 წ. ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე – მაია ბაძრაძე
მოსამართლეები – ლუარა ჯუმბურიძე
ალექსანდრე იოსელიანი

სხდომის მდივანი – ეკატერინე ხუგაშვილი

აპელანტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
წარმომადგენელი –

მოწინააღმდეგე მხარე –
წარმომადგენელი არ გამოცხადდა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

დავის საგანი – საჯარო ინფორმაციის გაცემა.

აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით
გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე - სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა 2006 წლის 16 ოქტომბრის განცხადებით გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემა მოსარჩელის მიმართ.

სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით (ს.ფ. 29-32):

დადგენილ იქნა, რომ 2006 წლის 16 ნოემბერს, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა შს სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე და მოითხოვა 2005 წლის განმავლობაში, საქართველოს შს სამინისტროს მიერ განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში, სამინისტროს საცავიდან დროებითი მოთავსების იზოლატორებისათვის საქონლის გადაცემის ამსახველი დოკუმენტაციის ასლების გადაცემა. 24.11.06 წ. შს სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროს უფროსის წერილით, მოსარჩელის მიმართ გაცემული იქნა ინფორმაცია შს სამინისტროს დროებითი ყოფნის იზოლატორებში მყოფ პირთა სადღეღამისო კვებაზე გაწერილი თანხის ოდენობის შესახებ, ხოლო მოპასუხის მიმართ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გაცემულა, რაც საფუძველი გახდა მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-2, 28-ე და 37-ე მუხლები, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი, ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციად ჩაითვლება ყველა ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით არსებობს ეს ინფორმაცია, რაც შექმნილი ან დაცულია საჯარო დაწესებულებაში და ყველა მათგანი არის ხელმისაწვდომი, სანამ დადგენილი არ იქნება საპირისპირო. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თუ ეს ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით გასაიდუმლოებულია ან ცნობილია სახელმწიფო, კომერციულ, ან პირად საიდუმლოებად და ადევს შესაბამისი გრიფი. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია და აირჩიოს, რა სახით სურს ამ ინფორმაციის მიღება.

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, მათ სურდათ საჯარო ინფორმაციის მიღება წერილობითი ფორმით, მხოლოდ სარჩელში წარმოდგენილ საჯარო

ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, მათ მიმართეს მოპასუხე მხარეს საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ განმარტა სზაკ-ის მე-40 მუხლი, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 10 დღისა, გარდა კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით. სზაკ-ის 37-ე მუხლი განსაზღვრავს აგრეთვე პერსონალურ და კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესს.

საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა სახელმწიფო საიდუმლოების, კომერციულ და პერსონალურ მონაცემთა მიკუთვნებულ ინფორმაციას და ამდენად, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 26 ივნისის . ბრძანებით „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", რომლის თანახმად, მასალები და კვების პროდუქტების შემოსვლა ექვემდებარება სპეციალურ აღრიცხვას რეგისტარციის შემოსავალში, რომელშიც პირველადი საბუთების საფუძველზე ჩაიწერება ყველა მონაცემი ფასეულობათა მიღების შესახებ, საწყობში მასალების ან კვების პროდუქტების მიღება დასტურდება მატერიალური პირის ხელისმოწერით.

საქართველოს შს სამინისტროს 2005 წლის 23 მარტის ბრძანების თანახმად „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ", სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების მოზიდვას და მის ხარჯვაზე კონტროლის განხორციელებას ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, უზრუნველყოფს სამინისტროს ქვედანაყოფებს საკვები პროდუქტებით და სხვა მატერიალური საშუალებით ახორციელებს სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა მიღების, შენახვის და რეალიზაციის ოპერაციების დოკუმენტურ გაფორმებას.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის საქართველოს, შს სამინისტროს წარმომადენლის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ სამინისტროს არ გააჩნია 2005 წლის განმავლობაში საქართველოს შს სამინისტროს მიერ განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში, სამინისტროს საცავიდან დროებითი მოთავსების იზოლატორებისათვის საქონლის გადაცემის ამსახველი დოკუმენტაციის ასლები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (ს.ფ. 38-39).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სსსკ-ის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო, ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად ასკვნის, რომ საქალაქო სასამართლომ არასრულყოფილად გამოიკვლია და შეაფასა მტკიცებულებები, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რითაც დარღვეული იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნები საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნულის შედეგად, სახეზეა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტით მისი გაუქმების საფუძველს წარმოადგენს. ასევე, რაიონული სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული კანონი, ზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ" ქვეპუნქტი, რაც სსსკ-ის 393.2 მუხლის საფუძველზე ასევე გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 26 ივნისის ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", რომლის თანახმად, მასალების და კვების პროდუქტების შემოსვლა ექვემდებარება სპეციალურ აღრიცხვას და რეგისტრაციას შემოსავალში, რომელშიც პირველადი საბუთების საფუძველზე ჩაიწერება ყველა მონაცემი ფასეულობათა მიღების შესახებ, საწყობში მასალების ან კვების პროდუქტების მიღება დასტურდება მატერიალური პირის ხელმოწერით.

საქართველოს შს სამინისტროს 2005 წლის 23 მარტის ბრძანებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ თანახმად, სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების მოზიდვას და მის ხარჯვაზე კონტროლის განხორციელებას ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, უზრუნველყოფს სამინისტროს ქვედანაყოფებს საკვები პროდუქტებით და სხვა მატერიალური საშუალებით, ახორციელებს სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა მიღების, შენახვის და რეალიზაციის ოპერაციების დოკუმენტურ გაფორმებას.

პირველი მათგანი აწესრიგებს საბიუჯეტო ორგანიზაციებში მასალებისა და კვების პროდუქტების შემოსვლის სპეციალური რეგისტრაციის წესს, ასევე საწყობში მათი მიღებისას მატერიალური პასუხისმგებლობის პირის სავალდებულო ხელმოწერას. მეორე – სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს ვალდებულებას, საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე სამინისტროს ქვედანაყოფების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა მიღების, შენახვის და რეალიზაციის ოპერაციების დოკუმენტური გაფორმების თაობაზე.

აღნიშნული ნორმატიული აქტების მითითებით, არ დასტურდება მოპასუხე ორგანიზაციაში, მათ მიერ განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში, სამინისტროს საცავიდან დროებითი მოთავსების იზოლატორისთვის საქონლის გადაცემის ამსახველი დოკუმენტაციის არსებობა, რაც საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის სავალდებულო პირობას წარმოადგენს.

კონკრეტულად, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი, ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება დაკმაყოფილებას, თუკი დადასტურდება, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია დაცულია საჯარო დაწესებულებაში, ან მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილია ამ დაწესებულების ან მოხელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად ინფორმაციის „საჯარო ინფორმაციად“ მიჩნევის საფუძველია.

მხოლოდ ის გარემოება, რომ სამინისტროს შესაბამის მოხელეებს აკისრიათ გარკვეული ვალდებულებები დოკუმენტაციის წარმოებისა, უპირობოდ არ ნიშნავს, რომ ისინი ამ ვალდებულებებს ასრულებდნენ, მით უფრო სასამართლოს მიერ

მითითებული ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტები არ განსაზღვრავენ სამინისტროს შიდა უწყებაში საკვები პროდუქტების გადაცემის დოკუმენტალური გაფორმების წესებს, არამედ ეხება მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს ვალდებულებას, სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა და ფულად საშუალებათა მიღების, შენახვის და რეალიზაციის ოპერაციების დოკუმენტური გაფორმების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამინისტროს პოზიცია მოთხოვნილი დოკუმენტაციის არარსებობის თაობაზე არადამაჯერებლად და უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული, არ გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევიდან და შესაბამისად დაუსაბუთებელია.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოება – არსებობდა თუ არა სამინისტროში მოთხოვნილი ინფორმაცია, მაშინ, როდესაც მხარეთა შორის აღნიშნული გარემოება სადაო იყო. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, სარჩელის დაკმაყოფილების სავალდებულო პირობას წარმოადგენს იმ გარემოების სათანადო მტკიცებულებებით დადასტურება, ან საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის მიერ აღიარება, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია დაცულია საჯარო დეწესებულებაში. შესაბამისად, თუკი სასამართლო შინაგანი რწმენით არ იზიარებს მოსაზრებას, მოთხოვნილი ინფორმაციის სამინისტროში არარსებობის თაობაზე, მან უნდა იხელმძღვანელოს ასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების მოთხოვნით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლიდან გამომდინარე, გამოითხოვოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საჯარო რეესტრიდან, რათა დადგინდეს, არის თუ არა მოთხოვნილი ინფორმაცია რეესტრში, წარმოადგენს თუ არა იგი საჯარო ინფორმაციას და აღნიშნულის შესაბამისად იმსჯელოს სარჩელის საფუძვლიანობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სსსკ-ის 53.4-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 385-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), დასაბუთებული განჩინების ასლის მხარეთათვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა).

თავმჯდომარე / მ. ბაქრაძე /

მოსამართლეები / ლ. ჭუმბურიძე /

/ ა. იოსელიანი /